წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. პარასკევი, 5 ივნისი 1915 წ. 14 № 11

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76,

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე,) და ეღირება 5 მანეთი.

„საქართველოს" კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო" წლის დამლევამდე ღირს 5 მანეთი. შეიძლება ფასის გადახდა ამნაირად: პირველ ოქტომბრამდე 3 მანეთი და შემდეგ ორი მანეთი. ჟურნალ „კლდის" ხელის მომწერთ, რომელთაც გადახდილი აქვთ მთელი წლისა (5 მან.) „საქართველო" გაეგზავნებათ **მხოლოდ** პირველ მკათათვემდე. „კლდის" ხელის მომწერთ, რომელთაც სამს მანეთამდის აქვს შემოტანილი, „საქართველოს" მხოლოდ პირველი ნომერი გაეგზავნებათ.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

კვირას, 7 ივნისს, 1 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის

კავლე ალექსის ძე კალანდაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ განსვენებულის პატივისმცემელთ, ამხანაგ-მეგობრებს და ნათესავებს ღრმად დამწუხრებული მშობლები ალექსი და ივლიტე, ძმები სიმონ და არტემ, დები: ფუნდუ, ძაბუნიე, რახილ, მართა და მარიამი, დისწული ილია კობალაძე, სიძეები რაფიელ ჩიხლაძე, ნოე იოსების ძე და ნოე გლახუნის ძე რამიშვილები. იმავე დღეს, 7 ივნისს, წირვის შემდეგ დანიშნულია პანაშვიდი სოფ. ხიდისთავში (გურია).

3—1

ახალ კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აცხადებს, რომ კლუბი თვის საზაფხულო განყოფილებაში გადადის 6 ამა ივნისის თვეს.

საზაფხულო განყოფილებაში გადასვლის გამო კვირას, 7 ივნისს, ნაშუადღევის სამ საათზე გაიმართება

საზოგადო სადილი

ხელის მოწერით ფასი 1 მ. 50 კ. უღვინოდ.

სადილში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ კლუბის შვეიცართან ბაღში გადასვლის დღეს. გაიმართება კონცერტი ახლად შემდგარი სიმფონიური ორკესტრისა.

სტუმრები იხდიან შესასვლელ ფასს: მანდილოსანნი და სტუდენტები 50 კ., ხოლო მამაკაცნი—60 კაპ. ფორმის ტანისამოსში.

დასაწყისი კონცერტისა საღამოს 9 საათზე. 2—1

სახალხო სახლი

პარასკევს, 5 ივნისს 1915 წ.

ნ. ჩხეიძის, ი. ზარდალიშვილის და ა. იმედაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I

ლეკის ქალი გულჯავარ

ისტორიული დრამა 3 მოქმ. ა. ცაგარლისა

II

ვაი ყოჩოს

ფარსი 1 მოქ.

დასაწყისი საღამოს $8\frac{1}{2}$ საათზე

ადგილების ფასი 1 მ.—20 კ. 10 კ-მდე. 4—4

ირ. ევდოშვილის

სრული კრებული ხელის მოწერით ღირს ორი მანეთი. **მთელი შემოსავალი** მგოსანს გადაეცემა.

„საქართველოს" რედაქციაში (მოსკოვის ქუჩა № 4)მიიღება ხელის მოწერა.

—უ—

გამოცდილი მასწავლებელი ქალი

ღებულობს და ამზადებს პირველ და მეორე კლასისთვის ქალ-ვაჟს ყველა საშუალო სასწავლებლისას. აგრეთვე ამზადებს, ხელმისაწვდომ ფასებში, ვისაც განმეორებითი გამოცდა ექმნება. შეიძლება სახლში მიწვევაც. **მისამართი:** კირპიჩნის შესახვევი, სახლი 12, ოთახი 9. (10—უ—4)

კბილის ექიმი ქალი

ნინო რჩხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღ. 5—6 საათამდე, კვირა დღის გარდა. ოლღას ქუჩა, სახლი მელიქ-აზარიანცისა

ქ. გორში

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

თბილისი, 5 ივნისი.

გზა მივცეთ.

ქუთაისში საგულისხმიერო ამბავი მოხდა. 248 ხმის უმრავლესობით 55 ხმის წინააღმდეგ ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ახალგაზრდა, განათლებული ფინანსისტი რაჟდენ დათეშიძე. არჩევანში მონაწილეობას იღებდნენ ქუთათური ვაჭარ-მრეწველნი, რომელთაც დითეშიძე თავიანთ კანდიდატად წამოაყენეს.

ის ფაქტი, რომ ჩვენი კომერსანტების წრე შეთანხმებული, გაერთიანებული გამოდის ქართულ ეკონომიურ ცხოვრების სარბიელზედ, მართლაც ჩვენი საზოგადოების დიდ ყურადღების ღირსია. აქამდე ქართულ-ეკონომიურ დაწესებულებათა სათავეში ვირჩევდით ყოვლად პატივცემულ და მხოლოდ „პატივცემულ" ხალხს, რომელთა შორის პოეტიც შეგხვდებოდათ, მაზრის უფროსიც, დამქანარი, გამოფიტული მოხელეც და ნაბოქაულარიც. ვირჩევდით სიმპატია-ანტიპატიის და ნათესავურ სიახლოვის მიხედვით.

ეს არც გასაკვირველია, რადგან ეს იყო ლოღიკური შედეგი უგეგმო ქართულ ეკონომიურ-პოლიტიკურის ცხოვრებისა, რომლის წყალობით საერთო ინტერესს მსხვერპლად ვწირავდით კერძო ან ვიწრო ჯგუფობრივ წადილს.

და ამიტომ რ. დათეშიძის არჩევა და მისი 248 ჩამოყალიბებული ქართველ კომერსანტების ხმა მეტად მნიშვნელოვანია. ეს ის გზაა, რომელსაც უნდა დაადგეს ჩვენი ქვეყნის ახალი ცხოვრება.

ეს გზა ქართულ ეკონომიურ ორგანიზაციებს -უცილებლივ გაანთავისუფლებს დღევანდელ დილეტანტურ ინტელიგენტთა მეთაურობისაგან, ეროვნულ ეკონომიკას გაყინულ წერტილიდან დასძრავს და გააცხოველებს მას ნამდვილ საქმიანობით.

მაშ მივცეთ გზა ახალ რეალურ და მცოდნე ძალებს ჩვენი ქვეყნისას.

ვუსურვებთ ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებას ამ ახალ არჩევანით განახლებას და მოწყობას ქართულ ფინანსიურ ცხოვრებისას.

სამარის ქვა

— კაცო! გაიგე რა ამბები ხდება ჩრდილოეთში? დააყენებს და ეკითხება ერთი ქართველი მოღვაწე მეორეს.

— როგორ არ გავიგე... საშინელებაა, საშინელება.

მერე რასა ჰფიქრობ?

— ეჰ, მეგობარო! დრო სადა მაქვს ფიქრისთვისა. დავრბივარ კუდ-აზეკილი ათასგვარ ჩვენს კრებებზედ. ათასგვარ გადაღეჭილ საკითხების საღეჭად. შენ კი წაიკითხე ცნობილ რუსის მრეწველის რიაბუშინსკის სიტყვა. არა? მაშ უსათუოდ წაიკითხე. დიდებულია. სასოწარკვეთილებაში ჩაგაგდებს. ეჰ, დაქსაქსულები ვართ, დაქსაქსულები, მეგობარო... ნახვამდის,—გამოესალმებია ერთიმეორეს და განშორდებიან.

ასე ვლაყბობთ მუდამ დღე.

ერთი ჯგუფის მოღვაწეს მიმართეს:

— ხალხო! დროა ხელი ხელს გაუწოდოთ. ქვეყანა იწვის, იღუპება. შეერთებულ ძალებით მივეშველოთ სამშობლოს.

— არა, ჯერ უნდა შევევაჭროთ ერთმანეთს და მერე მივეშველოთ,—მიუგო მან.

— მაშ, თქვენის აზრით ვანდერველდე, მარსელ სამბა და ჟიულ გედი განსაცდელის დროს სამშობლოს ევაჭრებოდნენ?

— ჯერ სულ ასე ვკამათობთ.

ქართულ პრესაში კი დღითი დღე იწერება:

აქ წავაგეთ, იქ წარვიხოცეთ, აქ შიმშილი, იქ წარღვნა. ყველგან დაჭრილ-მოკლულნი და გარშემო პანაშვიდები, დამარხვანი.

ასე ვგლოვობთ.

და ასე, ვლაყბობთ, ვკამათობთ და ვგლოვობთ...

იმის და მიუხედავად, რომ დღევანდელი კატასტროფიული ხანა საშინელ შედეგს გვიმზადებს.

ეს შედეგიც შორიდან კიდეც მოსჩანს: განადგურება და სიკვდილი ყოველ დარბეულ, დაქსაქსულ და მოუმზადებელ ერს!

ჩვენ კი მაინც ვლაყბობთ, დღესაც ვკამათობთ და მარტო ვგლოვობთ.

ერთი სიტყვით, ჩვენსვე კუბოს—ჩვენვე მივსდევთ.

მსოფლიო ისტორია კი, დღევანდელ ქართველობის მიერ დამარხულ საქართველოს, სამარის ქვას წაადგავს და მშვიდად წააწერს:

იყო და არა იყო რა.

ეკალი.

ომის დღიური

მიმოხილვა

ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე, მდინარე ვინდავისა და დუბისას ნაპირებზე, ცხარე ბრძოლა ისევ გრძელდება. გერმანელები წინსვლას ვერ ახერხებენ. პირიქით, რუსის ჯარი მდინარე ვინდავას გადასულა პოპელიანთან და შავლის მიდამოებში გერმანელთა ჯარის მარცხენა წვერს ემუქრება ჩრდილოეთით. შავლისთან მრავალი სოფელი ხელიდან ხელში გადადის. მდინარე დუბისაზე და სამხრეთით მლავის მიმართულებამდე ბრძოლა გრძელდება—ზოგან ცხარე, ზოგან ნელი.

ვისლაზე კვლავ „მშვიდობიანობაა".

დღევანდელ დეპეშებში მოკლედ არის ნათქვამი, რომ სანის მარჯვენა ნაპირზე ბრძოლამ უკიდურეს სასტიკობამდე მიაღწია და ავსტრო-გერმანელებს სულ ახალ-ახალი ჯარი მოსდითო. დნესტრის ხაზზე, ჟიდაჩევის სამხრეთით ბრძოლა გრძელდება, ხოლო რა ხდება დნესტრის მარცხენა ნაპირზე, რუსეთ-ავსტრიის საზღვარზე, ამის შესახებ დღეს არავითარი ცნობა არ მოსულა.

მ. ბ—ლი.

დეპეშები

პეტროგრადი, 3 ივნისი. მთავარი შტაბის ოფიციალური მოხსენება. დაბა ლიატკოვთან, მდ. ვინდავაზე, გერმანელთა სამი დღის იერიშები ვერ დაგვირგვინდა მათი წინსვლით. 2 ივნისის ბრძოლამ სასწორი რუსებისაკენ გადმოსწია, პოპელიანის რაიონში რუსის ჯარები ვენტაზე გადავიდნენ. დევნის დროს რუსის ცხენოსანმა ჯარმა რამდენიმე ასეული გერმანელი აჰკაფა, რამდენიმე ათეული კი ტყვედ წამოიყვანა. შავლთან ბრძოლა ხან რუსთა სასარგებლოდ სწარმოებდა, ხან კი გერმანელთა სასარგებლოდ. ზოგიერთა სოფელი ხელიდან ხელში გადადიოდა. დუბისზე ცეცხლის დუელია. ნემანის დასავლეთით 1 და 2 ივნის გერმანელები არ მოერიდნენ აუარებელ მსხვერპლს და იერიშს იერიშზე განაგრძობდნენ. კონტრ-იერიშების დროს მარიამპოლის აღმოსავლეთით რუსებმა რამდენიმე სოფელი აიღეს. ღამით 2 ივნისს გერმანელებმა ზარბაზანი დაუშინეს ოსოვეცს, მაგრამ ღამის 2 საათზე ციხის ბატარეებს უპირატესობა დაეტყოთ. ორჟიცის ღელეში ღამით ომულევისკენ რამდენიმე შეტაკება მოხდა. ორჟიცის ღელეში ღამით ივნისის 2-ს გერმანელებმა სასტიკი არტილერიის ცეცხლი გაუჩინეს სოფ. ედნოროჟეცს. სულ მცირე ხანში რამდენიმე ასეული ყუმბარა ისროლეს. შემდეგ დღისით გერმანელები იერიშით წამოვიდნენ რუსთა პოზიციებზე, მაგრამ მათი ცდილობა პირველ სანგრებთანვე შეჩერებულ იქმნა. პრასნიშის ჩრდილოეთით რუსებმა ენერგიული კონტრ-იერიშით აიღეს გერმანელთა წინა თხრილები.

გალიციაში სანის აღმოსავლეთით ბრძოლა თანდათან მკაცრდება. გერმანელებს ახალ-ახალი ძალები მოჰყავთ დაჟინებით. დნესტრზე ტისმენიცისა და ბისტრიცის შუა 1 და 2 ივნ. გამარჯვება რუსებისკენ გადმოიხარა. ჟიდაჩევის სამხრეთით ტყვედ წამოიყვანეს 500 გერმანელი 14 აფიცრით, 42 ზარბაზნით და 6 ტყვიის მფრქვეველით.

სტოკჰოლმი, 2 ივნისი. ბერლინიდან იუწყებიან: პორტამ დაადგინა გააუქმოს ფინანსიური შეთანხმება, რომელიც ოსმალეთსა და საფრანგეთს შორის იყო დადებული შარშან. სირიისა და ლიბანის რკინის გზები, რომლებიც მტარვალ სახელმწიფოთა ქვეშევრდომებისაა, ამათ ჩამოერთმევათ და გეჯასის რკინისგზას გადაეცემა.

სტოკჰოლმი. 3 ივნისი. გერმანიის მთავრობამ ბრძანა ინგლისელ აფიცრების გადაყვანა საოფიცრო ბანაკში. ეს ბრძანება გამოწვეულია ამერიკის ლონდონელი ელჩის მეცადინეობით, რომელმაც ინგლისის მთავრობა დაიყოლია, გერმანიის სამი წყალქვეშიდან გადარჩენილი ეკიპაჟი საერთო სამხედრო ბანაკში გადაეყვანათ.

ლონდონი. 3 თიბათვე. ქვედა პალატაში ასკვიტმა წინადადება შეიტანა, რათა გადადებულ იქნას ომის საჭიროებისათვის 250 მილიონი გირვანქა სტერლინგი (გირვანქა სტერლინგი ერთ თუმანს უდრის). მან განაცხადა: ყოველდღიური ომის ხარჯი წარსულ წელს მილიონ ნახევარი იყო. ამ ჟამად 2,66000 გირვანქა სტერლინგია, მოსალოდნელია რომ 3,000,000 გირვანქა სტერლინგამდე ავიდეს, რადგან ომის ასპარეზი გაფართოვდა და ჩვენი ფინანსიურ დამოკიდებულების მიხედვით მოკავშირე სახელმწიფოებთან თანდათან ხარჯი იზრდება.

თბილისი 3 ივნისი. კავკასიის შტაბისაგან. ზღვის სანაპიროზე 1 ივნისს სროლას განაგრძობენ. დერიკისა და ჩუხაგადუკის უღელტეხილის რაიონში ქურთებთან უმნიშვნელო შეტაკებები მოგვიხდა.

ლონდონი, 3 ივნისი. „ლოიდის" სააგენტოს აცნობეს: ლივერპულიდან გასული ნორვეგიის გემი „დავანგერი" ჩასძირა წყალქვეშამ ჰევროდის კუნძულებთან. ეკიპაჟი სტორნოვეში გადმოსხეს.

ვაშინგტონი, 3 ივნისი. უარყოფენ იმ ცნობას, თითქოს შეერთებული შტატები ერიდებოდეს მონაწილეობა მიიღოს ნეიტრალ ქვეყნების ცდაში, რომ ევროპაში მშვიდობიანობა აღდგენილ იქნას. ვილსონმა დღეს განაცხადა, ამერიკის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ხელი შეუწყოს მებრძოლ სახელმწიფოთა შერიგებას.

რომი, 3 ივნისი. შტაბის მთავარი სადგომი იუწყება: წინ მივდივართ კადორესა და ტიროლ-ტრენტინოს გასწვრივ; თან ვიჭერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ პოზიციებს. ამ ფრონტზე მტერს მოქმედება არ განუვითარებია; მხოლოდ ერთი-ორი უშედეგო იერიში მოიტანა ვალონეს წინააღმდეგ. სუსტი იყო და ხანმოკლე მტრის საარტილერიო ბრძოლა ამ რაიონში. უფრო მხნედ შემოგვიტიეს კარნიაში, სესისის ხეობის მახლობლად. განსაკუთრებულის სიცხარით იერიში მოიტანეს ავოსტანისის ქედზე. მტერი მაინც უკუვაქციეთ. იტალიელები სდევნიდნენ მათ ხიშტებით, კონტრ-იერიშის დროს. საარტილერიო ბრძოლა იყო მონტენეროს რაიონში. იტალიის მზვერავებმა აღმოაჩინეს, რომ მტრის საფორტიფიკაციო შენობა შესდგება ლითონის ბლინდაჟისაგან, ქვისა და ბეტონის მასალისაგან და ყველა შეიარაღებულია ბატარეიებით, რომელთა მეტი წილი შიგ მიწაშია ჩაშენებული.

ლონდონი, 2 ივნისი. ჩრდილო ზღვაში, გერმანიის წყალქვეშამ ჩასძირა გემი „არგილი", რომელიც გულიდან ლონდონში მიდიოდა თევზით დატვირთული. 4 მეზღვაური და კაპიტნის გვამი გარვიჩს ჩამოიტანეს.

ჟურნალ-გაზეთებიდან

გერმანიის ძალები დასავლეთსა და აღმოსავლეთში.

ერთი მცოდნე პირის გამოანგარიშებით ომის დაწყებისას გერმანიას ყავდა ორსავე ფრონტზე 92 ოთხპოლკიანი ქვეითი დივიზია. ამას თანდათან ემატებოდა ახალ-ახალი წყებები, რომლებიც სათადარიგო და სალანდვერო ჯარის კაცებისგან შეადგინეს, სულ მიემატა 31 დივიზიამდე. ამათ გარდა გერმანიაში კიდევ ახალი კორპუსები შექნეს, სულ თვრამეტ დივიზიამდე, ასე რომ მთელი გერმანიის ჯარი შეიცავდა დაახლოვებით 141 დივიზის, ეხლა ხან რომ ამბობდენ, გერმანიას სულ „ახალ-ახალი" კორპუსები გამოჩნდაო, შეცდომა იყო.

ეს „ახალი“ კორპუსები ჯარების ახალი გადაჯგუფებისგან წარმოსდგა მხოლოდ. გერმანიის ჯარების გარიგება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფრონტებზე დაკავშირებული იყო შტაბის მთავარი სადგომის გეგმაზე; ასე, მაგალითად, თავდაპირველად მთელი ჯარის $^{6}/_{7}$ გერმანიამ საფრანგეთის წინააღმდეგ დასძრა: უნდოდა ერთი დაკვრით გაენადგურებინა იგი. მარნაზე დამარცხებისა და აღმოსავლეთ პრუსიაში რუსის ჯარის შემოსევის შემდეგ, გერმანიას თანდათან გადმოყავს თავის ძალები აღმოსავლეთის ფრონტზედ. ავსტრიელების მარცხმა გალიციაში აიძულა გერმანია თავის ძალის ერთი ნაწილი აქაც ჩამოეყვანა. ასე რომ მთელ აღმოსავლეთის ფრონტზე ახლა ოთხჯერ მეტი ძალა ყავს გერმანიას, ვიდრე ომის დაწყებისა ჰყავდა.

ინგლისში მთელი ერი ეკრძალვის პარტიული პოლემიკის აღმოცენებას.

1911 წლის საპარლამენტო აქტის ძალით, თემთა პალატის რწმუნებულებათა ვადა 5 წლით არის განსაზღვრული. ხოლო უკანასკნელი არჩევნები ინგლისში მოხდა 1910 წელს. ასე რომ დღევანდელ თემთა პალატას ვადა სულ რამოდენიმე თვეში გაუდის. ხსენებული აქტის ძალით არჩევნები უთუოდ უნდა მოხდეს ყოველი დაწესებული ვადის გასვლის უმალ. ახალი არჩევნები პოლემიკას ვერ ასცდება. პოლემიკა კი თავის მხრივ ვერ ასცდება კერძო პირების წინააღმდეგ გალაშქრებას, ერთმანეთის მხილებას და გალიზიანებას. ყველა ეს-კი, რასაკვირველია, ზიანს მიაყენებს იმ შეთანხმებულ პატრიოტულ გაერთიანებას, რომელიც დღეს არსებობს მთელს ინგლისში და რომელიც მისთვის გამარჯვების ერთი მთავარი პირობათაგანია. ამიტომ გადასწყვიტეს, ყოველ საარჩევნო კურიაში კანდიდატებად დღევანდელი დეპუტატები დაასახელონ. უკამათოდ, უპოლემიკოდ აირჩევენ ძველს დეპუტატებს. თემთა პალატაც ძველი შენადგენობის დარჩება. დარჩება სათავეში აგრეთვე დღევანდელი საკოალიციო სამინისტრო.

ახალი არჩევნები საბერძნეთში.

საბერძნეთის დღევანდელი პარლამენტის კანონიერი ვადა მხოლოდ წლის შემდეგ გავიდოდა. მაგრამ წინადასწრებით ახალი არჩევნები ამ დღეებში მოხდება. ახალი არჩევნების საჭიროება გამოიწვია პრემიერი ვენიზელოსის გადადგომამ გასულ თებერვალში. ვენიზელოსი გარკვეულ პოლიტიკას დაადგა ამ მსოფლიო ომის დროს. იგი მომხრე იყო გვერდში ამოდგომოდა საფრანგეთ-ინგლის-რუსეთს. საბერძნეთის ხალხის დიდი ნაწილი და თვით მეფე წინააღმდეგი გახდა ასეთი ნაბიჯისა და ვენიზელოსმა იძულებით მთავრობას თავი გაანება. საბერძნეთში მდგომარეობა აიწეწ-დაიწეწა. შფოთი და მღელვარება ასტყდა. ვენიზელოსი დიდი პიროვნებაა, ბევრი ამაგი მიუძღვის ერის წინაშე. მის პრემიერობის დროს გაჩაღდა ბალკანეთის ომი. საბერძნეთმა შემოიერთა დიდი ტერიტორია ბალკანეთზე, დაახლოვებით 40000 კვადრატი კილომეტრი (კილომეტრი ვერსზე უფრო ნაკლებია) 1,70000 მცხოვრებით. ე. ი. მთელი ორი მესამედი საბერძნეთის სამეფოსი. საბერძნეთის ხალხი ყველა ამას ვენიზელოსის პიროვნებას უკავშირებს და დიდ პატივსა სცემს მას. პარლამენტშიაც დეპუტატთა დიდი ნაწილი ვენიზელოსის მომხრეა. ძნელი იყო ვენიზელოსის ახალი მემკვიდრისათვის, ბ-ნი გუნარისისთვის ასეთი პარლამენტის შემწეობით, ქვეყნის მართვა-გამგეობა და ახალი კურსის განმტკიცება საერთაშორისო დამოკიდებულებაში. ახალი პარლამენტის შექმნა აუცილებელი გახდა. ამ მომავალი პარლამენტის შენადგენობაზედ ჰკიდია თუ რა გზას დაადგება საბერძნეთი მოკავშირეთა ძებნის საქმეში.

ბელგიელ მაღალ არისტოკრატიის ქალების დატუსაღება.

ბრიუსელში სამი თვე ნახევარს ციხე მიუსაჯეს ბელგიის იუსტიციის მინისტრის მეუღლეს, ქ-ნ კარტონ-დე-ვიარდს. სასჯელი იმან გამოიწვია, რომ ქალბატონი დე-ვიარდი სისტემატიურად გზავნიდა წერილებს გერმანიის ცენზურის გარეშე. დე-ვიარდმა თვისი სასჯელი ბერლინში უნდა მოიხადოს.

სამის თვის ციხე მიუსაჯეს თექვსმეტი წლის გრაფის ასულს ელენე დე-იონგს იმ შეურაცხყოფისათვის, რომელიც გერმანელ ოფიცრისათვის საჯაროდ მიუყენებია.

სამი თვის ციხე მიუსაჯეს ამ ახალგაზდა გრაფის ასულის დიდედასაც იმავე მიზეზით.

მოსკოვში.

მოსკოვში ქალაქის უფროსის თანამდებობას დროებით პოლიცმეისტერი ზოლოტარიოვი ასრულებს.

ამავე ქალაქში არეულობის დროს უცბად გარდაიცვალა ცინდელის ქარხნის გამგე კარლსენ.

ამბობენ ქალაქის უფროსის თანაშემწე თანამდებობას თავს ანებებსო.

ერობათა კავშირის კრება.

5 ივნისს, მოსკოვს გაიმართება საგანგებო კრება ერობათა კავშირის რწმუნებულებისა. მოპატიჟების ბარათებში ნათქვამია, კრების მიზანია, საჩქარო პასუხი გასცეს მიმდინარე ცხოვრების მიერ წამოყენებულ ფრიად მნიშვნელოვან საკითხებსაო.

—:—

გერმანიის ბეჭვდითი სიტყვის წარმომადგენლები სთხოვენ მთავრობას, გააუქმოს სელუიდოზზე დაწესებული ბაჟი და ამით ხელი შეუწყოს ქაღალდის წარმოებას.

ქართული წერილები

ბედისწერა ომისა

ვინ და რამ გამოიწვია ეხლანდელი მსოფლიო უბედურება?

ერთი ნახევარი კაცობრიობისა სამთა კავშირს აბრალებს, მეორე ნახევარი— სამთა შეთანხმებას.

ზოგი ამ კითხვას მხოლოდ ეკონომიურ ინტერესთა მხრიდან უცლის, ზოგი მხოლოდ პოლიტიკურ ინტრიგებს ასახელებს; ერთნი პანსლავიზმის წარღვნით ემუქრებიან ქვეყნიერობას, მეორენი— პანგერმანიზმისა; ბრბოს რომ ჰკითხოთ, ერთი მეფე ებრძვის მეორეს, ეროვნება —ეროვნებას და სარწმუნოება—სარწმუნოებას.

დავანებოთ თავი ბრბოს. მას ყველაფერი ეპატიება. რა მოეთხოვება უმეცარს, როცა ისე აირია მცნება, იდეა, ფაქტი და უნარი საანბანო ჭეშმარიტების გარჩევისა, რომ ფრიად ცნობილნი მწერალ-მოღვაწენი ათასობით და ასი ათასობით ქადაგად დაეცნენ და ისტერიულად გაჰკივიან განურჩეველ სიტყვებს... მხოლოდ სიტყვებს. უმრავლესობას დაეკარგა უნარი საღის მსჯელობისა, დინჯის ანალიზისა და ლოღიკურ აზროვნებისა.

მაშ ვინ გამოიწვია ეხლანდელი ომი?

არავინ.

ეს პასუხი შეიძლება პასუხიც არ იყოს, შეიძლება ზოგმა პარადოქსად ჩასთვალოს, მე კი მაინც მგონია, რომ ომი არავის გამოუწვევია, ესე იგი ომი თავის თავად დაიწყო, ესე იგი ომი ერთი რამ აუცილებელი, ფსიხოლოგიურად ბუნებრივი მოვლენა იყო, სწორედ ისეთივე მოვლენა, როგორც მიწის ძვრა ანუ სხვანაირი ბუნებრივი კატაკლიზმი. როგორც აუცილებელი იყო მესინის მიწის ძვრა და უთვალავი იმისთანა და მასზე ათასჯერ უარესი კატაკლიზმი ბუნებაში განსაზღვრულ მიზეზთა გამო, ასევე აუცილებელი იყო დღევანდელი უმაგალითო კატაკლიზმიც კაცთა შორის. ვისაც ძალა შესწევს, ეძებოს ეს მიზეზები, მე კი ისევ ჩემს პარადოქსს დავუბრუნდები, საგანს გავამარტივებ, ერთ ვულგარულ მაგალითს მოვიყვან და წინდაწინვე ასე ვუპასუხებ იმას, ვინც მსოფლიო უბედურების გავულგარებას მისაყვედურებს: შეიძლება სამყაროს უდიდესი პლანეტა ერთ წვეთ წყალში მკაფიოდ და ნათლად გამოისახოს.

წარმოვიდგინოთ რომ ერთ პატარა სოფელში თხუთმეტიოდე კომლი სცხოვრობს ყოველ ოჯახში **აუცილებლად** არსებობს შინაური დავა, უთანხმოება და შუღლი. ასეთივე დავა და შუღლი **აუცილებლად** არსებობს მეზობელთა, ოჯახთა შორისაც. ზოგს ცოტა მიწა აქვს, ზოგს—ბევრი, ზოგს კარგი აქვს, ზოგს—ცუდი, ზოგს ბედი სწყალობს შრომისა და გამრჯელობის გამო, ზოგს ქვაც აღმართში ეწევა ზარმაცობისა და უშნოობის გამო; ხან ერთი აწყენინებს მეორეს, ხან მეორე უჩხიკვინებს პირველს. დავიხსომოთ, რომ კანონი უთანხმოებისა, შურისა და ჯიბრისა **აუცილებელი** იყო, არის და იქნება **ყოველთვის და ყოველგან.** ფსიხოლოგიურ კანონსაც თავისი ლოღიკა აქვს. გავყვეთ მას. მეზობელთა შორის დავასა და შუღლს აუცილებლად მოსდევს მეზობელთა დაყოფა-დაჯგუფება, მფარველობა და კავშირი (გაიხსენეთ კავშირთა სისტემა ევროპიულ სახელმწიფოთა შორის). ასეთი კავშირი და ერთი მეორის მფარველობა ხდება ხან ნათესავთა, ხან გვართა, ხან კიდევ უბანთა შორის. ამის გამო სოფელი ორ-სამ ბანაკად იყოფა და ამ ბანაკთა შორის მუდმივი და განუწყვეტელი—დავა ბუდობს. იგი ხან [illegible], ხან შელაპარაკდებიან, ხან ერთმანეთს ემუქრებიან, საჩხუბრად იწევენ, მერე დროებით რიგდებიან, მაგრამ გროშის მიზეზის გამო ცოტა ხნის შემდეგ ისევ ასტყდებიან ხოლმე.

განვავითაროთ ეს სურათი. სოფელში ურთიერთობა მწვავდება. ხან ერთი გაიკრავს ხანჯალზე ხელს, ხან მეორე წამოაყენებს ხოლმე ჩახმახს ერთს ისევ მეორე ეშველება, მეორეს მეხუთე და მესამეს მეათე. ასეთი მიწევ-მოწევა ხშირდება. მშვიდობა ბეწვზე ჰკიდია.

დავამთავროთ ეს სურათი.

შეიძლება ასეთ სოფელში ასეთმა „მშვიდობამ“ ერთი წელიწადი გასტანოს, ვთქვათ ხუთი, თუნდ ოცი. ცხადია, რომ ბოლოს და ბოლოს, ადრე იქნება თუ გვიან, მშვიდობა უნდა დამარცხდეს: **აუცილებლად** სადმე თოფი უნდა გავარდეს, თუნდ უცაბედად, ვისიმე პატიოსნებისა და ღირსების დასაცავად. არსებულ კავშირებისა, შეთანხმებისა და მფარველობის გამო ისევ აუცილებლად ერთი მეორეს უნდა მიეშველოს, მეორე მეხუთეს და მესამე მეათეს. ასე მოედო ცეცხლი მთელ სოფელს, ასევე მოედო იგი მთელ ევროპასაც, რომელიც ისევე ემორჩილება ზემოდახატულ ფსიხოლოგიურ კანონს, როგორც ემორჩილებიან ერთსა და იმავე კანონს ბუნებრივ განვითარებისას უშველებელი სპილო და რწყილის უჩინარი ბარტყი.

შეადარეთ ეხლა ზემოაღწერილი სურათი დღევანდელ ომს.

ორ ბანაკად დარაზმული და ყელამდე იარაღასხმული ევროპა მუდმივ შფოთავდა. ხან აქ და ხან იქ გაისმოდა ხმა მუქარისა და შეტევისა. ერთი რომ ხმლის ვადაზე გაივლებდა ხელს, მეორე ჩახმახს აყენებდა, მესამე ზარბაზანს სტენავდა, მეოთხე ხანჯალს ლესავდა. იყო მუდმივი ღრენა და სამზადისი. ევროპამ უკანასკნელ ათ წელიწადში ბევრჯერ გადაარჩინა მშვიდობა, ბევრჯერ აავდო იგი მახვილზე, მაგრამ ისევ დაიხსნა, ბევრჯერ მოუღერეს მახვილი იმ ბეწვს, რომელზედაც იგი ეკიდა, მაგრამ სახელმწიფონი თავს იკავებდნენ, ერთმანეთს

საქართველოს ეკლესია და მისი დამოუკიდებლობა

(წარსული, აწმყო და მომავალი*)

III

ეკლესიისა და სინიდისის თავისუფლება ძველ საქართველოში

1103 წელს მოხდა ეგრედ-წოდებული რუის-ურბნისის კრება, რომელსაც, მართალია, დავით-აღმაშენებელი დაესწრო, მაგრამ როგორც ვახუშტი ბატონიშვილი შენიშნავს, ამ კრებაზე იგი მჯდარა „არა ვითარცა მეფე, არამედ ვითარცა მონა“.[1]) თვის მეფობის დასაწყისში (1184 წ.) საეკლესიო კრებას მოუწოდა თამარ-მეფემაც, მაგრამ ამ კრების დარბაზში იგი დიდ-ხანს არ დარჩენილა, ხოლო რა ხანსაც დარჩენილა, „ქართლის—ცხოვრების“ მოწმობით, კრების წევრთ იგი მოპყრობია „დიდითა სიმდაბლითა, ვითარცა ერთი კაცი შეურაცხი და არა ვითარცა მეფე“[2]).

ამ ორ კრებაზე საკმაოდ გამოირკვა სამღვდელოებისა და მეფის შეხედულება, ერთის მხრით, ეკლესიის უზენაეს დანიშნულებაზე და, მეორე მხრით, საეკლესიო მართვა-გამგეობის განსაკუთრებულს ხასიათზე. როგორც რუის-ურბნისის კრების ოქმიდან („ძეგლის წერა“) ვტყობილობთ, ეკლესიის უმაღლესი დანიშნულებაა—„სულის შინაგან თვისებათა განბრწყინვება“ და „საქმეთა მიერ განსრულებულ სარწმუნოებით ღმერთთან ქრისტიანების შეერთება“,[3]) ანუ, მდაბიურათ რომ ვთქვათ, ზნეობრივ-სარწმუნოებრივი აღზრდა და ღმერთთან ერთობის მიღწევა. ხოლო თამარ-მეფის სიტყვით, ამ აზრის განსახორციელებლად აუცილებლათ საჭიროა „საღმრთო-სჯულთა შეუგინებლად დაცვა“, რომელიც ვალად აწევს როგორც მეფეს, ისე საეკლესიო იერარქიას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ, როცა მეფე „საქმით, განსწავლითა და განსწვრთით“ დარაჯობს საღმრთო კანონებს, საეკლესიო იერარქია მარტო „სიტყვით, სწავლითა და წვრთით“, ე. ი. ქადაგებითა და ჩაგონებით მოქმედებს; ამასთანავე სამღვდელოების სიტყვა არის და უნდა იყოს პირუთვნელი, მართალი და გაბედული: იგი არ უნდა შეუშინდეს „მთავრებს—სიდიდისათვის“ და არც „გლახაკებს“ უნდა სჩაგრავდეს „სიმცირისათვის“. მაგრამ აი თვით დედოფალის სიტყვები:

„წმიდანო მამანო! თქვენ ღვთისა მიერ განჩინებულ ხართ მოძღვრად ჩვენდა და მმართებელად წმიდათა ეკლესიათა, და თანა-გაცთ სიტყვის მიგებად სულთა ჩვენთა. გამოიძიეთ ყოველი კეთილად, დაამტკიცეთ მართალი და განხადეთ ყოველი გვლარძნილი. იწყეთ პირველად ჩემ-ზედა, რამეთუ შარავანდედი ესე მეფობისა არს და არა ღვთის მბრძოლობისა; ნუ თვალ-ახვამთ მთავართა სიდიდისათვის, ნუცა გლახაკთა უდებ-ყოფთ სიმცირისათვის. თქვენ სიტყვით—ხოლო მე საქმით, თქვენ სწავლით—ხოლო მე განსწავლით, თქვენ წვრთით—ხოლო მე განწვრთით, ზოგად ხელ-მიეცეთ დაცვად სჯულთა საღმრთოთა შეუგინებლად, რათა არა ზოგად ვიზღვივნეთ, თქვენ ვითარცა მღვდელნი, ხოლო მე ვითარცა მეფე, თქვენ ვითარცა მნენი, ხოლო მე ვითარცა ებგური“[4]).

ასეთია თამარის სეფე-სიტყვა, რომლითაც მან კრების მამებს მიმართა. როგორც ვხედავთ, დედოფალი არამც თუ საეკლესიო წესებს დარღვევას არ უქადის, პირიქით, თვით სასულიერო მამებს ემუდარება—დახმარება აღმოუჩინონ „საღმრთო სჯულთა დაცვაში“. ამასთანავე სრულიად საფუძვლიანათ და გადაჭრით ამბობს, რომ ხალხის სულიერ „მოძღვრად“ და „წმიდა ეკლესიათა მმართველად“ მოწოდებულია თვით ეკლესიის იერარქია და კრება და არა საერო პირი, გინდ სხვა რომელიმე დაწესებულებაო. საერო მთავრობა მხოლოდ „იცავს“, სამღვდელოებასთან ერთათ, უკვე არსებულს საეკლესიო „სჯულსა“ და წყობილებას, მაგრამ განკარგულებით კი ვერაფერს განაკარგულებს, ვერ შესცვლის და ვერც გადააკეთებს.

მარტო კათალიკოსის არჩევაში სდებია წილი „მეფეს“, როგორც შიო-მღვიმის ერთ-ერთი გუჯარი გვარწმუნებს, მაგრამ, თუ არ ვსცდებით, ისიც არა როგორც საერო მთავრობის უზენაეს წარმომადგენელს, ესე იგი არა როგორც მეფეს, არამედ როგორც ეკლესიის წევრს, სხვა წევრებთან ერთად. აღნიშნული გუჯარი გვეუბნება, რომ ანტიოქიის კათედრისაგან ჩვენს ეკლესიას მოეცა უფლება, „რათა შეკრბებოდიან ეპისკოპოსნი სამრევლოისა მისისანი (ე. ი. საქართველოს ეკლესიისანი) და აკურთხევდენ კათალიკოზსა, რომელიცა სთნდეს მეფესა და ერსაო“.[5]) ამ ფაქტს თვით ანტიოქურ პირველ წყაროებიდან მეთერთმეტე საუკუნეში ქართულად და სლოვიანურად ნათარგმნი წერილებიც გადმოგვცემენ, მაგრამ მეფეზე არას ამბობენ. ერთი ამ წერილთაგანი (სლოვიანური) კათალიკოზის ამომრჩევლად მარტო ქართველ ეპისკოპოსებს აღიარებს,[6]) მეორე-კი (ქართული)—ეპისკოპოსებსა და „მოყვასთა“,[7]) ე. ი. ეკლესიის წევრთ ანუ მორწმუნეებს, რაც უდრის შიომღვიმის გუჯრის „ერსა და მეფესა“, უკეთუ ამ უკანასკნელის სახელით ვიგულისხმებთ „მეფეს“, როგორც წევრს ეკლესიისას და არა როგორც საერო მთავრობის უზენაეს წარმომადგენელს.

არა მარტო ეკლესიის საზოგადო წყობილება და მართვა-გამგეობა, არამედ საეკლესიო იერარქიის კერძო წევრთა პიროვნებაც კი სრულიად ხელ-შეუხებლად ითვლებოდა საერო მთავრობის მხრით. „ეპისკოპოსის დატუსაღება არ შეიძლებაო,—ამბობს აღბუღას სამართალი,—თუნდ რომ მეფე სამართლიანადაც იყოს იმაზე განრისხებულიო, რადგან ეპისკოპოსი მეორე მეფეა, ქრისტიანობრივი სჯულის დამცველი, და ასევე უნდა უცქეროდეს მას თვითონ მეფეცაო“.[8])

მეფის თანასწორად ითვლებოდა ვახტანგ მეექვსის კანონებით და „სასულიერო მეფედ“ იწოდებოდა აგრეთვე სრულიად საქართველოს კათალიკოზიც.[9]).

ასეთი იყო ქართველ მეფეთა და საერო მთავრობის განუსაზღვრელი პატივისცემა ქრისტიანობრივ „სჯულისა“ და საეკლესიო იერარქიისადმი. კიდევ უფრო განუზომელი იყო საერო მთავრობის მხრივ ეკლესიის ქონებრივ უფლებათა ხელშეუხებლობა. ამას მოწმობს თითქმის ყოველი სიგელ-გუჯარი მეთერთმეტე საუკუნ. მეთვრამეტე საუკუნის დამლევამდე[10]), ამასვე ამტკიცებს ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფეთა: ერეკლე მეორისა და გიორგი მეთორმეტის ცნობილი ფრაზა, რომლითაც იგინი ცხადათ აღიარებენ, რომ „ჩვენ არამც თუ საეკლესიო მიწების ჩამორთმევა, ხელის შეხებაც კი არ შეგვიძლიაო“.[11]).

ამ რიგად, მართალია, პირველ-ხანად ჩვენში ქრისტიანობამ ვერ აიცდინა საერო მთავრობის არა-სასურველი გავლენა, მაგრამ შემდეგში სრულიად განთავისუფლდა ამგვარ გავლენისაგან და საბოლოოდ შემდეგს პრინციპებზე განიმტკიცა თავისი ურთიერთობა სახელმწიფოსთან: ა) სარწმუნოების გავრცელებაში სრული თავისუფლება და ძალ-დაუტანებლობა, ბ) საეკლესიო წყობილებისა და შინაგანის მართვა-გამგეობის სრული დამოუკიდებლობა, გ) უმაღლეს საეკლესიო იერარქიის წევრთა პიროვნულ ხელშეკრულობის მხრივ „მეფესთან“ გათანასწორება და უკანასკნელ, დ) საეკლესიო ქონების სრული ხელ-შეუხებლობა.

აი რაში გამოიხატა და როგორ ესმოდათ ეკლესიის შინაგანი თავისუფლება ძველ საქართველოში თვითონ ქართველ მეფეებს.

ასეთივე სიფრთხილით ეპყრობოდნენ საეკლესიო იერარქიის უფლებებსა და ძველ საეკლესიო ჩვეულებებს არა ქართველი ხელმწიფენიც, როცა საქართველოს უზენაესი გამგეობა მათ ხელში გადადიოდა. აი პირველშეხვედრილი მაგალითები.

„წყალობითა უზენაესი ღმრთისათა,—სწერს თავის 1742 წლის ფირმანში სპარსეთის შაჰი ნადირი,—გამოიცა უმაღლესი ბრძანება: მაღალხარისხოვანმა კახეთის მოადგილემ თეიმურაზ-ხანმა, ქართლისა და კახეთის სამღვდელოებასთან და თავად-აზნაურობასთან ერთათ, მოგვახსენეს, რომ მათი კათალიკოსი გარდაცვლილა, ხოლო მის ადგილას აურჩევიათ მაღალუსამღვდელოესი ნიკოლოზი და მთხოვენ მის დამტკიცებას. მათი სურვილის თანახმათ, ვამტკიცებ ნიკოლოზს კათალიკოზის ხარისხში და ამა წლის დამდეგიდან ვუნიშნავ, წინანდელი კათალიკოზების მაგალითის მიხედვით, ჯამაგირს 1,000 მანეთს ნადირისას, რათა იგი, აღასრულებდეს რა ამ თანამდებობას, განუწყვეტლივ მოიხსენებდეს თავის ლოცვაში ჩვენს მართებლობას... რაბი-ელ-სანის თვესა, ჰიჯრის 1155 წელსა“.[12]) ორი წლის შემდეგ კათალიკოზი ნიკოლოზი გარდაიცვალა და მის ადგილზე არჩეულ იქნა ანტონი I-ლი. იგივე შაჰი ამტკიცებს ამ კათალიკოზსაც და ვალად უდებს: „განაგე შენი სამწყსო **მანდაურ წესებისა და ჩვეულებათა თანახმათ,** მცხოვრებთა სასიამოვნოდო“, ხოლო თავადებს, დიდებულებსა და ხალხს ბრძანებას აძლევს: „მიიღეთ იგი თქვენ **კათალიკოზად, სამღვდელოების თავად და** ყველა სასულიერო საქმეებში **უფროსადო**“.[13])

როგორც ვხედავთ, უცხოელი ხელმწიფეებიც ისეთისავე სიფრთხილით ეპყრობიან საქართველოს ეკლესიის წეს-ჩვეულებათა და სამღვდელოების ხელშეუხებლობას, როგორც ქართველი მეფეები. ვნახოთ ახლა, როგორ მოეპყრა ამას რუსეთის მთავრობა.

(შემდეგი იქნება)

ერისგანი.

---

*) იხ. „საქართველო“ № 10.

[1]) ვახუშტი. საქართველოს ისტორია. ტფილისი. 1885 წ. ნაწ. I, გვ. 174—175.

[2]) ქ.-ცხოვრება. 1, გვ. 406.

[3]) თ. ჟორდანია. „ქრონიკები“ ნაწ. II, გვ. 61. ტფილისი. 1897 წ.

[4]) ქ.—ცხოვრება. I, გვ. 406—407.

[5]) თ. ჟორდანია. „ქრონიკები“, ნაწ. I, გვ. 77. ტფილისი. 1893 წ.

[6]) იხ. „Правосл. палест. сборн.“ т. VI, вып. 1. стр. 47.

[7]) თ. ჟორდანია. „ქრონიკა“ I, გვ. 76: „რომელი გამოიჩინონ მოყვასთა მის ეკლესიისათა, თანადგომითა და წამებითა ეპისკოპოსთათა, წესთაებრ საეკლესიოთა“.

[8]) იხ. „Сборн. Закон. Груз царя Вахт. VI“, изд. Френкеля. Тифлисъ: 1887 г. გვ. 118—119: § 103 შედ. § 102.

[9]) ნახ. იქვე თვით ვახტანგის კანონები § 25, შედ. § 35. იხ. Brosset. Jntroduction... p. CIX—CX.

[10]) იხ. მაგალითად თ. ჟორდანიას „ქრონიკები“ წ. წ. I და II.

[11]) Д. Пурцеладзе. „Груз. церковн. гуджары„ стр. 35 и 85.

[12]) იხ. Акты, собранные Кавказской Археографическою Коммиссiею, т. I, стр. 73—74. Тифлисъ. 1886 г.

[13]) იქვე ნადირ-შაჰის ფირმანი 1744 წლისა ანტონი I-ლის სახელზე, გვ. 74.

აშველებდნენ და მაინც ორკეცის სისწრაფით ემზადებოდნენ. ბოლოს იმდენი თოფის წამალი დაამზადეს, რომ სადმე გამოვარდნილ ნაპერწკალს აუცილებლად უნდა აეფეთქებინა კაცობრიობა.

ეს ნაპერწკალი სერბიაში გამოიავესა.

ეს იყო პირველი აუცილებლობა, რომელიც ადრე თუ გვიან, თუნდ სხვა ფორმით, მაინც უნდა მომხდარიყო. 1903 წლიდან შარშანდლამდე ურთიერთობა თანდათან მწვავდებოდა და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ორმა სერბმა მოჰკლა ავსტრიის ტახტის მემკვიდრე. ავსტრიამ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. სახელმწიფოსაც ისეთივე ღირსება-თავმოყვარეობა აქვს, როგორიც ერთს პიროვნებას. იგი მოვალეა დაიცვას თვისი ღირსება და აღადგინოს შელახული თავმოყვარეობა. . . .

. . . .

. . ეს იყო მეორე აუცილებლობა.

სერბიას წაესარჩლა რუსეთი, მისი მფარველი, ვინაიდგან ამასაც რუსეთის პრესტიჟი და სახელი მოითხოვდა. 1908 წელს რუსეთმა დასთმო სერბიის შელახვა და იგი დათმობა მთელ ქვეყანაში რუსეთის დამცირებად და მისი ღირსების შელახვად ჩასთვალეს. რუსეთს ეხლაც რომ დაეთმო, მას სამუდამოდ ხელი უნდა აეღო ბალკანეთზე, წაეშალა თითქმის ორი საუკუნის ნამუშევარი, სამუდამოდ თავი დაენებებინა დასავლეთისათვის და აზიაში უნდა გადასულიყო. რუსეთი ამას ვერ იზამდა და არცა ჰქმნა. ეს იყო მესამე აუცილებლობა, რომელსაც ლოღიკურად მოჰყვა მეოთხე. გერმანია უნდა წასარჩლებოდა თავის ერთად-ერთ საიმედო მოკავშირე-ნათესავს, თორემ მის მოკავშირეს დაამარცხებდნენ, გაჰყოფდნენ, გერმანია კი მთელ ქვეყანაზე განმარტოებული და მტრებით გარშემორტყმული დარჩებოდა. გერმანიის ჩარევას მოჰყვა რუსეთის მოკავშირის საფრანგეთის ჩარევა, საფრანგეთს—ინგლისი, მერე ოსმალეთი, შემდეგ იტალია, ეხლა კი გვპირდებიან, დანარჩენებიც ჩაერევიანო. ინგლისისთვის და ოსმალეთისთვის ომში ჩარევა იმ მხრივ იყო აუცილებელი, რომ ერთსაც და მეორესაც იშვიათ შემთხვევით უნდა ესარგებლნა: ინგლისს ან ეხლა უნდა მოეშორებინა მსოფლიო ბატონობის მოქიშპე, ან სამუდამოდ ხელი აეღო პირველობაზე, ხოლო ოსმალეთს, რომელიც პირველ საფეხურიდან მეათეზე მხოლოდ რუსეთმა ჩამოიყვანა, ან ეხლა, და მხოლოდ ეხლა უნდა აღედგინა ნაწილი მაინც დაკარგულ ძალა-დიდებისა, ან კიდევ ხუთი საფეხურით დაეწია მსოფლიო კიბეზე. მთელი ევროპის მშვიდობა ჰგავდა იმ დაძველებულ და შერყეულ შენობას, რომელიც საძირკვლამდე დაინგრევა, თუ მას ერთი აგური მაინც გამოაცალეთ, ჰგავდა იმ ჯაჭვს, რომელიც დაიშლება თუ მას ერთი რგოლი მაინც გამოაძრეთ. ეს რგოლი უნდა გამომძვრალიყო, გამოძვრა კიდეც, მთელი შენობაც დაინგრა და ქვეშ მოიყოლა ნახევარი კაცობრიობისა.

მაშ ვისი ბრალია?

აქ არ არის დამნაშავე, ბოროტი განზრახვა, ჩასაფრება ანუ წინდაწინვე შემუშავებული გეგმით შესრულებული დარბევა კაცობრიობისა. არის მხოლოდ ფაქტი ფსიხოლოგიურ აუცილებლობისა, ლოღიკური შედეგი უხილავ და ხილულ მიზეზთა ხლართისა, და დასასრული იმ ძალთა მუშაობისა, რომელნიც არავის არ ემორჩილებიან: არც ადამიანის ნებას, არც სახელმწიფოს, არც მთელ კაცობრიობას, ვინაიდგან რაკი არ არსებობს ერთი იმპერატიული მსოფლიო ნება, (თუნდ მუდმივ მშვიდობის დამყარებისა) არც შეიძლება არსებობდეს მისი ქვემდებარე, მის მიერ ხორცშესხმული ქმნილება.

დიპლომატები, მინისტრები, საერთოდ ძლიერნი ამა ქვეყნისანი და თვით ერნი და სახელმწიფონიც მასალა იყო მსოფლიო კარაბადინისა. ომს თავისი ბედი ეწერა და ეს ბედისწერა აღსრულდა. ამას რაც გნებავთ დაარქვით, გინდ ფატალიზმი, გინდ დეტერმინიზმი, გინდ ქართული ბედისწერა, გინდ კიდევ ძველი ბერძნული „მოირა“.

აუცილებელია, აუცილებელია!

მ. ად—ლი.

დიდი მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის გარდაცვალების გამო.

უმაღლესი ბრძანება.

პეტროგრადი, 3 ივნისი. წყალობითა ღვთისათა ჩვენ, ნიკოლოზ მეორე, იმპერატორი და სრულიად რუსეთის თვითმპყრობელი, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვათა და სხვათა, განვუცხადებთ ჩვენს ქვეშევრდომთ, რომ ყოვლად შემძლებელ ღმერთს ენება თავისთან მოეწოდებინა საყვარელი ჩვენი ბიძა, დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე. მისი იმპერატორობითი უმაღლესობა გარდაიცვალა ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 2 ივნისს, დაბადებიდან 57 წ. განსვენებულმა დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ მთელი თვისი სიცოცხლე შესწირა სამშობლო მეცნიერებას. აგრეთვე დიდი ღვაწლი მიუძღვის ყრმათა სამხედრო აღზრდის უმაღლეს საქმეში, ვინც ამდენი სახელოვანი აფიცერი მოგვცა, რომელთა გმირული თავგანწირულება დღევანდელ ომში სამარადისოდ აღბეჭდილ იქმნება რუსეთის ჯარის ისტორიაში. დავსტირით რა საყვარელ ბიძის დაკარგვას, ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი ერთგული ქვეშევრდომნიც გაიზიარებენ წუხილს, რაიც სამეფო სასახლეულობას ეწვია და ჩვენთან ერთად ლოცვით შეავედრებენ უფალს დიდი მთავრის სულს!

პეტროგარდი, 3 ივნ. პავლეს სასახლეში ღვთით მისვენებულ დიდი მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის გვამთან საღამოს პანაშვიდის დროს დაესწრნენ მათი იმპერატორობითი უდიდებულესობა უავგუსტოეს თავის ასულებითურთ ოლღა ნიკოლოზის ასულისა და ტატიანა ნიკოლოზის ასულითურთ, აგრეთვე წევრნი უავგუსტოეს ოჯახისა და საიმპერატორო საგვარეულოს უმაღლესნი ასულნი.

მოსკოვი. ყველა კადეტთა კორპუსებში და სამხედრო სასწავლებლებში გადახდილ იქმნა პანაშვიდი სამხედრო სასწავლებელთა უავგუსტოეს გენერალ-ინსპექტორის დიდი მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის სულის მოსახსენებლად.

პეტროგრადი, 3 ივნისი. დიდი მთავრის კონს. კონსტანტინეს ძის გარდაცვალების გამო ყაზანის საკათედრო ტაძარში გადახდილი იქნა პანაშვიდი მათი უმაღლესობის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი გადაიხადეს სინოდის წევრებმა არქიეპისკოპოს სერგეის მეთაურობით. დაესწრნენ მინისტრები, სასახლის პირველი და მეორე ხარისხოვანი პირები, სასახლის ქალნი, სახელმწიფო საბჭოს წევრნი, სენატორები, მთავარ-სარდალი, გენერალიტეტი, გვარდიის აფიცრობა და დიპლომატიურ კორპუსის წევრები.

პავლოვსკის სასახლეში ღვთით მისვენებულ დიდი მთავრის კონსტ. კონსტანტინეს ძის ნეშთის წინაშე პანაშვიდი გადაიხადეს დიდძალი სამღვდელოების თანამსახურებით. დაესწრნენ ქვრივი ხელმწიფა-იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული და მრავალი მლოცველი.

— —

პანაშვიდი. განსვენებულ დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის სულის მოსახსენებლად თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა პანაშვიდს გადაიხდის ხვალ, დილის 11 საათზე, თავად-აზნაურთა შენობაში, სასახლის ქუჩაზე.

პანაშვიდი. გუშინ, დილის 12 საათზე, განსვენებულ დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის სულის მოსახსენებლად საქართველოს ექსარხოსმა, მაღალ ყოვლად სამღვდელომ პიტირიმმა, ეპისკოპოზის ლეონტისა, არქიმანდრიტების მელქისედექისა და პიროსის და დიდძალ სამღვდელოების თანამსახურებით. პანაშვიდი გადაიხადა ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში. დაესწრნენ: ნამესტნიკის მეუღლე სტატს-დამა ე. ა. ვარანცოვ-დაშკოვისა, ა. პ. პეტერსონისა, კავკასიის ჯარების უფროსი გენ. ვოლსკი, თბილისის კომენდანტი გენ. ჩირკოვი, თბილისის გუბერნიის თავად-მზნაურობის მარშლები, ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელნი, გენ. ზ. ა. მდივანი, გენ. თამამშევი, თავად-აზნაურობა, წარმომადგენელნი დაწესებულებათა და დიდძალი ხალხი.

ახალი ამბავი

მისს უმაღლესობას, დიდს მთავრინას ელისაბედ მავრიკის ასულს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა პავლოვსკში თბილისის გუბერნიის მარშლის თანამდებობის აღმასრულებელმა თავ. მ. ა. სუმბათაშვილმა:

„მისი უმაღლესობის დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის გარდაცვალება გაიგო თბილისის გუბერნიის ქართველმა თავად-აზნაურობამ ჩვეულებრივ კრებაზედ და თავზარი დასცა მას. თქვენმა იმპერატორებითი უმაღლესობამ უკვე იცოდეს, როგორი ღრმა პატივისცემით და სიყვარულით არის გამსჭვალული ქართველი თავად-აზნაურობა უავგუსტოესის მიცვალებისადმი და აგრეთვე თქვენსა და თქვენის სახლობისადმი. თავად-აზნაურობა ბედნიერად რაცხდა თავს იმით, რომ მისი უმაღლესობა მუდამ ასაჩუქრებდა მას თავისის კეთილგანწყობილებით და ყურადღებით, თავად-აზნაურობა სთხოვს თქვენ და თქვენს უავგუსტოესს სახლობას მიიღოთ მისი გულწრფელი თანაგრძნობა ხელახლად მოვლინებულ ღრმა მწუხარებისა გამო. ვსთხოვთ უფალს მოგანიჭოთ ძალა გადაიტანოთ მწუხარება.

◆ **ქალაქის არჩევნები.** ჩვენ გვთხოვენ შესწორება შევიტანოთ გუშინდელ ცნობაში ქალაქის არჩევნების შესახებ. ქალაქის თავი ინახულა, როგორც მოხსენებული იყო. არა განაპირა უბნების მცხოვრებთა ერთმა ჯგუფმა, არამედ განაპირა რაიონების ხმოსნების ჯგუფის წარმომადგენლებმა ხმოსნებმა პ. გოთუამ. ა. ბაბოვმა, ს. მახმანოვმა და გ. კეილმა.

ჯგუფის მონდობილობით (ამ ჯგუფში 20 ხმოსანი ითვლება ხმოსნებმა შეატყობინეს ქალაქის თავს, რომ ჯგუფმა დაადგინა ხმოსნების არჩევნები მოხდეს ცალკ-ცალკე 12 ქალაქის უბნებში, რომ ყოველივე უბანს საშუალება მიეცეს სასურველი ხმოსნები აირჩიონ და მეტმა ხალხმა მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში. ქალაქის თავმა შეატყობინა ხმოსნებს, რომ ქალაქის გამგეობის ზოგიერთ წევრს და ხმოსნებს განზრახვა აქვთ არჩევნები მოახდინონ ერთ საარჩევნო რაიონში, ან გაჰყონ ქალაქი სამ რაიონად და ან ექვსად. ხანგრძლივი თათბირის შემდეგ ქალაქის თავმა ა. ხატისოვმა აღუთქვა ხმოსნებს, რომ თვითონ ქალაქის თავი შეეცდება არჩევნები მოხდეს 7 ან 8 საარჩევნო უბანში. ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდება ქალაქის საბჭოში მომავალ ორშაბათს.

◆ **კავკასიელ ქალთა საზოგადოების ქართულმა სექციამ** დაადგინა 3 ივნისს: 1) მიენდოს ქ-ნს ან. ლომინაძეს შესაფერი შენობა მონახოს ღარიბ ბავშთათვის დილების გასამართავად, 2) 8 ივნისს საექსკურსიოდ წაიყვანონ სექციის უფასო სასადილოში მოსადილე ბავშვები, რომელნიც წინანდელ ექსკურსიაში არ მოჰყვნენ და 3) მოსადილე ბავშვებს, რომელნიც სურვილს განაცხადებენ, ასწავლონ წერა-კითხვა და აგრეთვე კვირაში ორჯელ ჭრა-კერვა ქ-ნ აშიხმანის ხელმძღვანელობით.

◆ **პირველი მაგალითი.** ინგილოელმა ქალმა ბარბარე ბარამაშვილმა წელს დაამთავრა პეტროგრადის პოლიტეხნიკუმი და დიპლომი მიიღო. ეს პირველი მაგალითია ქართველ ქალის მიერ უმაღლესი სპეციალური სასწავლებლის დამთავრებისა.

◆ **სანიტარული ღონისძიებანი.** მიმდინარე წლის დასაწყისს, თვითმართველობამ ღონისძიებანი მიიღო სხვა და სხვა სენთა გავრცელების წინააღმდეგ. ამ მიზნისათვის რამდენიმე ასი თუმანი გადასდო ოთხი თვის ვადით. ოთხი თვე უკვე გავიდა და გადადებული ფულიც დაიხარჯა. რადგან ავადმყოფობა ჯერ კიდევ არ მოსპობილა ქალაქის ზოგიერთ ადგილს, ამიტომ უფროსი სასანიტარო ექიმი ბ-ნი სტეფანოვი სთხოვს ქალაქის გამგეობას 4185 მან. გადასდოს სენთან საბრძოლველად სამის თვის განმავლობაში.

◆ **ახალი სასოფლო დუქანი.** გორის მაზრის საერობო აგრონომის იოსებ ქურდიანის თაოსნობით სოფელ ხოვლეში, ამ მოკლე ხანში, გაიხსნება მომხმარებელი სასოფლო დუქანი.

◆ **მუსულმანთა აუდიტორიაში.** ხარფუხში, ბატანიკურ ქუჩაზე, კვირას, 7 ივნისს ქართველ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქნება ისტორიული ტრაგედია „ქოროღლი“. დასაწყისი დილის 12 საათზე.

◆ ომში დასჭრეს შტ.-კაპ. ივ. სოლომონის ძე ყანჩელი.

◆ **ქართულ გიმნაზიის** შენობაში მოთავსებულია ორი ლაზარეთი, ერთი მათგანია მემკვიდრე ცესარევიჩის სახელობისა, ხოლო მეორე წმ. ნინოს სახელობისა. როგორც ხმა დადის, აზრათ აქვთ ხსენებული გიმნაზიის მთელი შენობა გადააკეთონ ლაზარეთად.

◆ **ქიზიყი.** 9 ივნისს, სოფ. ქვემო მაჩხაანში წ. კ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების თაოსნობით გაიმართება **აკაკის საღამო.** არჩილ ნაცვლიშვილი წაიკითხავს რეფერატს აკაკის შემოქმედებაზე. წარმოდგენილი იქნება აკაკის ვოდევილი "ბუტიაობა", წაიკითხავენ ლექსებს, შესრულებენ სიმღერებს და დასდგამენ ცოცხალ სურათებს.

◆ **შუამდგომლობა.** თბილისის მეექვსე გიმნაზიაში წასული წლის 1 სექტემბრიდან ქალაქების კავშირმა მოათავსა სამხედრო ლაზარეთი. გიმნაზია იძულებული გახდა სხვა სახლში გადასულიყო. გიმნაზიის დირექტორი სთხოვს თბილისის ქალაქის გამგეობას, მისცეს გიმნაზიას 4.500 მანეთი შენობის ქირის ასანაზღაურებლად.

◆ **ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებას შემოსწირეს სეირნობისათვის:** აღბაშევმა შალის საზედატნე (კუპონი); ივანიაშვილმა ბავშვის ქუდი; ტერ-აბრამოვმა ერთი სუფრა და ორი პირსახოცი; შენგელიამ ბავშის ქუდი; ხარაევმა 6 გორგალი კანაფი; ნასყიდოვმა კაცის პერანგი; თანდოევმა ქალის ზედატანი; ტერ-სააკოვმა 2 საფერფლე; მამულაიშვილმა 2 ფარდა; კოჩოროვმა ხელთათმანები, საყელო და გალსტუხი; ჩივაძემ საყელო და სამაჯური, ორი გალსტუხი და ერთი მარაო; გრეგუარმა 7 ნივთი; ფულინოვმა და ალიხანოვმა: დედოფალა, ბურთი, სარკე, ხონჩა, ჩხაკუნა და დასაკრავი (მუზიკა); „სოლოლაკმა“ 2 შუშა დუხი; იარამოვმა და ტერ-გრიქუროვმა 4 მარაო, ზამშის ქამარი, 3 ცალი თმის დასამაგრებელი; X-მა ზოოლოგიური ლოტო; კახეთის მევინეთა საზოგადოებამ 50 ბოთლი ღვინო; ქალაღდის საწყობის პატრონმა კიუმენმა 10 მანეთი ფულად, სოფიო გიორგი ჩიტაძის ასულმა 2 ცალი ნაქსოვი; კასსილმა ერთი ქალის საყელო; შ. დედაბრიშვილმა თავის თხზულებათა 4 წიგნი; ლ. ბოცვაძემ ჟურნალ „განათლების“ 2 ეგზემპლიარი 1915 წლისა; „Зак. Рѣчь“-მა გაზეთის ერთი წლის გამოცემა; „სამშობლო“-ს რედაქციამ ერთი წლის გამოცემა; „თანამედროვე აზრის“ რედაქციამ გაზეთის ერთი წლის გამოცემა; „განთიადის“ რედაქციამ ერთი წლის გამოცემა; კიკნაძის მაღაზიამ 26 ცალი სხვადასხვა რუსული წიგნები; წიგნების გამომცემელი ამხან. ჯაბადარი და კომპანიამ 26 სახელწოდების წიგნი (80 ცალი); ნ. ენუქიძემ 2 ალბომი ჟურ. „Пробужденіе“-ს დამატება; ლოლაძე და მამაცაშვილმა ორი ხონჩა; კოლა ცინცაძემ ერთი მანეთი ფულად.

◆ **თავადი ვარლამ ლევანის ძე გელოვანის სიკვდილის შემდგომ დაჯილდოება.** წითელი ჯვრის მთავარმა გამგეობამ დაადგინა: თავადი ვ. ლ. გელოვანი, მეოთხე სახელმწ. სათ. წევრი, თბილისში გარდაცვლილი სახადით, მთავარი რწმუნებული სახელ. სათათბიროს სახელობის მესამე საეტაპო ლაზარეთისა, ჩარიცხოს იმ განსაკუთრებულ სიაში, სადაც მოქცეულია ყველა, ვინც ღირსია წითელ ჯვრისაგან საგანგებო დაჯილდოებისა.

◆ **დაჯილდოება.** კავკასიის მთავარსარდლის ბრძანებისამებრ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში თავგამოდებისთვის და მამაცობისთვის დაჯილდოებულ იქმნენ: მესამე ხარისხის წმ. სტანისლავის ორდენით თბილისის ქართულ დრუჟინის შტაბს-კაპიტანი თ-დი ესტატე მაჩაბელი და პრაპორშჩიკი თ-დი დავით მუხრანბატონი; მეოთხე ხარისხის წმ. ანნას ორდენით ზედ წარწერით „მამაცობისთვის“ პრაპორშჩიკის თანაშემწე გიორგი ჟღენტი და პრაპორშჩიკი თავადი დიმიტრი თარხან-მოურავი.

◆ **ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკში** ქალაქის თავის ი. მ. ჩიქოვანის თავმჯდომარეობით სამს მაისს შესდგა წევრთა საერთო კრება. კრებას უნდა ამოერჩია საზოგადოების თავმჯდომარე. ორი დირექტორის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა გადაიდო. კანდიდატებად დასახელებულ იქმნენ ბ. კრინიცკი და ბ. რ. დათეშიძე. ბ. დათეშიძის მოღვაწეობის გამო კრებაზე დიდი კამათი გაიმართა. კამათში თვით ბ. დათეშიძემაც მიიღო მონაწილეობა. დასასრულ, კრებამ კენჭი უყარა ბ. კრინიცკის და დათეშიძეს. ბ. დათეშიძემ მიიღო 248 თეთრი, 55 შავი, ხოლო ბ. კრინიცკიმ 95 თეთრი.

◆ **წარმოდგენა.** დღეს სახალხო სახლში წარმოადგენენ ისტორიულ დრამას: **„ლეკის ქალი გულჯავარ“.** გულჯავარის როლს შესრულებს **ნინო ჩხეიძე,** ლევანს **ი. ზარდალიშვილი,** რამაზს **ა. იმედაშვილი.** დასასრულ წარმოადგენენ მხიარულ ფარსს „[illegible] ყობოს“. ყობოს როლს შეასრულებს ქ. ზარდალიშვილი. ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

◆ **საჯარო ვაჭრობა** თავად-აზნაურთა საადგილმამულო ბანკში 1915 წლის პირველ ნახევრისა დანიშნულია 17 და 18 თიბათვეს; 19 და 20-ში ქალაქ გარეთისა, ხოლო 22 და 23 სოფლების ადგილმამულისა.

საჯარო ვაჭრობა ქუთაისის მიხაილოვის საადგილმამულო ბანკში 1915 წ. პირველ ნახევრისა თბილისის გუბერნიის, ქალაქის და სოფლისა და ყარსის ადგილმამულებზე 4 თიბათვეს არის დანიშნული; ქუთაისის გუბერნიისაზე—9-ში, ქალაქ გარეთისა და ქუთაისის ახლო-მახლო მამულებზე და აგრეთვე ბათომის და სოხუმის ოლქის მამულებზე 13 თიბათვეს.

◆ **სანოვაგე.** 3 ივნის მოიტანეს: ფქვილი 31 ვაგ., სიმინდი 1 ვაგ., ქვავი 1 ვ., კარტოფილი 1 ვაგ., კვერცხები 1 ვაგ., მხალი 1 ვაგ., ნახერხი 1 ვაგ., შეშა 21 ვაგ., ქვანახშირი 21 ვ., ხის ნახშირი 1 ვ., ნავთი 7 ვ., ხე-ტყე 1 ვ., მარილი 8 ვ., ქიშმიში 154 ფუთი, ნუში 53 ფ., ბრინჯი 74 ფ., ლობიო 54 ფ., მაკარონი 16 ფ., კომბოსტო 37 ფ., წვანილი 135 ფუთი, ყველი 126 ფ., ქათმები 65 ფ., ახალი თევზი 119 ფ., ხმელი თევზი 4 ფ., რკინეულობა 305 ფუთი.

თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება.

3 ივნისს კრება გაიხსნა საღამოს 9 საათზე. თავმჯდომარემ თავ. მ. ა. სუმბათაშვილმა, კრებას აუწყა-რა სამწუხარო ამბავი მისის უმაღლესობის დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის გარდაცვალების შესახებ პეტროგრადში 2 ივნისს, წინადადება მისცა ფეხზე ადგომით პატივი ეცათ მისთვის, რაიცა შესრულებულ იქმნა. თავმჯდომარემ აგრეთვე წინადადება მისცა კრებას თავად-აზნაურობის სახელით სამძიმრის დეპეშა გაეგზავნოს მის უმაღლესობას დიდს მთავრინას ელისაბედ მავრიკის ასულს, რაიცა ერთხმად შეწყნარებულ იქმნა. თავმჯდომარემ თავ. სუმბათაშვილმა ამასთანავე მოახსენა კრებას, რომ მე, დუშეთის მაზრის მარშალთან, თავ. გ. ა. მუხრან-ბატონთან ერთად თავად-აზნაურობის სახელით პირადად გამოვუცხადე სამძიმარი მისს უმაღლესობას ტატიანა კონსტანტინეს ასულს, ქნ. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონსა. ბოლოს ნიშნად მგლოვიარობისა, თავმჯდომარის წინადადებით კრება დაიხურა შემდეგი დღის ს-ღამოს 8 საათამდე.

ჩვენი ცხოვრება

სიღნაღის ბანკის გარშემო.

სიღნაღშიაც გაჩნდა „ბანკოვიადა“. ძლივს ვეღირსეთ ქიზიყელები—სიღნაღელები საურთიერთო ნდობის ბანკს, რომელსაც სათავეში დაუდგნენ მხნე და მუყაითი კაცები და მათი მეოხებით, მადლობა ღმერთს, უკვე 200,000 მან. აქტივი გვაქვს, მაგრამ, რა დაინახეს ზოგიერთებმა ბანკის ასეთი წინსვლა და მისი გამგეების 1,500 მანათიანი ჯამაგირები, აეშალათ თითონაც საღეროლი და გამართეს ირგვლივ **„შენჩემობის“** ნიადაგზე აგიტაციები. გაჩნდნენ ეგრედ წოდებულნი **„ახოისტები“** და მიესივნენ ჩვენს ახლად გაფურჩქნულ საურთიერთო ნდობის ბანკს. ყველგან ჰხედავ პატ-პაწია კრებებს „ახოისტებისას“ ბულვარზე, სახლებში, კლუბის კუნჭულებში... და ბოლოს, გამოდიან საზოგადო კრებაზე, ასტეხავენ ერთ ვაიუშველებელ ღრიალ-ყვირილს: ბანკი გველუპება, გამოსცვალეთ მსახურთა შტატიო. ბანკის ანგარიშები-კი წესიერად მიმდინარეობს, თვე და თვე იბეჭდება მისი მდგომარეობა—ანგარიში, მოგებაც საკმარისი აქვს, მსახურთათვის მადლობის მეტი არა გვეთქმის-რა, მაგრამ სოფლის გლეხებს-წევრებს ეს ხომ არ ესმით! ერთ კრებაზე „ახოისტებმა“ რაც უნდოდათ ის აძახეს ამ საწყლებს და ბოლოს, 31 მაისის კრებაზე, როცა შეატყეს საქმე რაშიაც იყო, პირი იბრუნეს მათგან და ჩამოეცალნენ. ამ კრებაზე თავმჯდომარედ აირჩიეს ერთხმად ნიკ. ა. ყაზბეგი, მაგრამ ზოგიერთებმა იქამდე მოაბეზრეს თავი ბატონ თავმჯდომარეს უგვანო და საზოგადო კრებებზე აუტანელ საქციელებით, რომ ბ. თავმჯდომარე იძულებული გახდა სავარძლისათვის ორჯელ მიენებებინა თავი და უარი ეთქვა თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჯდომარეობაზე. „უკმაყოფილოთ“ ყოველი პროტესტი, შენიშვნა და კამათი გასცდა ზრდილობისა და საზოგადო კრების წეს-რიგს და პატივმცემლობის ფარგალს. კარგი იქნება თუ ეს კრება აღმზრდელობით ხასიათს მიიღებს, შემდეგში უკეთესს სახეს გვიჩვენებს და არ დასჩემდება უკუღმართ ხასიათად.

კარგი იქნება თუ ჩვენი პროვინციელი ინტელიგენცია შეიგნებს ეხლანდელდროის მნიშვნელობს და ნაცვლად კინკლაობისა, ძალების დაქსაქსვისა და პირადობისა, შეერთდებიან და საერთო ძალით შეუდგებიან მომავლის აშენებას.

—

ქიზიყი. ქიზიყში თანდათან კარგი დარი დგება. წყლებმა დაიწია; მინდორში ზოგ ალაგას შესაძლებელი გახდა მუშაობა და აქა-იქ ქერებსა მკიან. ნიაღვრებისა გამო ბალახებს ჯერ კიდევ ვერა სთიბავენ.

ალაზან გაღმა ტყეებში გამოჩნდა პატარა ბრბო ყაჩაღებისა. ამბობენ ლეკებიაო. პოლიცია სდევნის.

უკანა მხარში, მელაანისაკენაც გაჩნდნენ ყაჩაღები და მათ შორის ერთი რუსია. **მანდილოსანი.**

სოფლის შთაბეჭდილებანი.

(იხ. „საქართველო“ № 9).

ორი წილი ჩემი სიცოცხლისა მწყემსებთან გავატარე და ამიტომ იმათთან ჩავედი ჰალაში.

მაისის ბუნება მთელი თავისის სიმშვენიერით გადაშლილიყო და ყველაფერს სიცოცხლესა ჰფენდა. მინდა მისი მშვენიერება და ამ მშვენიერებისაგან გამოწვეული გრძნობები გამოვსთქვა, მაგრამ ვერ ვპოვებ შესაფერ სიტყვას... დიდებულია ღმერთი, რომელმაც შექმნა ეს სამყარო, ესრედ საკვირველი და ესრედ მიუწდომელი, საიდუმლოებით აღსავსე!

მწყემსებმა გაიგეს ჩემი მისვლა და ყველა ბინებიდან გამომეგებნენ. ერთმა კარგმა ჩემმა მეგობარმა მწყემსმა თვალცრემლიანის სიხარულით მითხრა:

წახვედი, წასვლით მატირე,
არ მოხველ,—მოლოდინითა,
ვერც გავიკვლიე შენი გზა
ამდენის თხოვნა-კითხვითა.

თანაც დიდის სალამ-ქალამით მომიკითხა: სადა ხარ, კაცო, რასა იქ და როგორა სცხოვრობ? რატომ აღარსად მოგვიკითხე? რად დაგვივიწყე?..

— სიკვდილმა დაგვივიწყოთ, ვუპასუხე და შევედით ქოხში. დავსხედით. მწყემსები მოქუჩდნენ ჩემთან, მაგრამ ყველანი, წინად ჩემთან რომ მწყემსობდნენ ხოლმე, აქ არ იყვნენ. ვკითხე, სად არიან-მეთქი. მითხრეს, ომშიო. სად არ მისწვდა ეს ომი, სად არ დაასვა თავისი წაუშლელი ბეჭედი. ჩამოვარდა ლაპარაკი. რასაკვირველია, პირველად ომზე ვილაპარაკეთ და ომში წასულ ბიჭებზე. ერთმა მწყემსმა ამოიოხრა და წარმოსთქვა: ერთი ჩემი კარგი მეგობარი წაიყვანეს ომში და ყოველ დღე სულ იმაზე ვფიქრობ, იმაზე ვდარდობო. თანაც აიღო ჩონგური და ზედ დაჰმღერა:

— გადამავალო ღრუბელო,
გადამიტანე თანაო,
სად არის ჩემი მოყვარე,
მიმიტა იმასთანაო.

— შენი მოყვარე ტან-წვრილი,
ბრძოლაში ვნახე დაჭრილი,
დავჯექ და ბევრი ვიტირე,
ზედ მივაყარე ქვა წვრილი.

ამასობაში მოსაღამოვდა. ცხვარი და ძროხა მოვიდა ბინაზე. ბიჭებმა ყველაფერი დააბინავეს. დაღამდა. მშვენიერი ღამე იყო. ვარსკვლავები ათასფერადა ჟუჟუნებდნენ ცაზე. ნელი სიო მიმოარხევდა სუნნელების ზღვა მწვანე მინდვრებსა და გვეუბნებოდა დამაფიქრებელ ძველს ზღაპრებს. იორი კი მყვირალა ტალღებით ყელთამდე სავსე მღრიალებდა სოფლებიდან თავქვე, უდაბნოებისაკენ, თითქო ადამიანებს გაურბის ადამიანებზე გაბრაზებულიო. ხოლო ჰალა თავდაღუნული მიუპყრობდა ყურს ივრის ქაფ-მორეულ ბრდღვინვას, თითქო უნდა როგორმე ყური მოჰკრას მის ბურტყუნში მიზეზს ადამიანების გაბრაზებისასაო.

ბიჭებს ჩალის სატაცური დაეკრიფათ და მოხარშეს. ყველანი დავსხედით და ვივახშმეთ. შემდეგ ისევ ვილაპარაკეთ ძველ ჩვენს ამბებზე.

ამასობაში კარგა დაღამებულიყო. დავარჩიეთ ხბორები. ერთი-ორი ბიჭი ბინაზე დავაყენეთ და დანარჩენებმა ძროხა გავრეკეთ შეფიას ჰალაში.

ერთ ველზე გავანებეთ ძროხას თავი და შევედით დაბურულს მუხიანში; ერთი ფუღურო მუხა ჰგულებოდათ იქ ბიჭებსა, მოვუკიდეთ ცეცხლი და გარს შემოვუსხედით. მშვენიერი სანახავი იყო ცეცხლმოკიდებული მუხა: შორიდან რომ დაენახა ადამიანს, ეგონებოდა, ტყეს ცეცხლი ეკიდებაო, ისე იყო გასული შუქი ირგვლივ ატეხილ მუხების დახლაკნილ ტოტებში.

ჩამოვარდა ლაპარაკი, თუ როდის ვის რა გაჭირვება განუცდია და ვის რა.— აი, თვითონ აქა—დაიწყო ერთმა: აი ამ მუხიანში, სადაც ეხლა ასე ვსიამოვნობთ, ერთხელ მულალოელმა თათრებმა ძროხები დამპარეს და, როცა წამოვეწიე, თოფით დამჭრეს.

— ჰო, მართლა—წამოიძახა მეორემ: დღეს შარას ქვევიდან, ამ ჰალის თავში ყაჩაღებს მგზავრები გაუცარცვნიათ.

ამ სიტყვებზე ყველანი გაჩუმდით, დავფიქრდით და დავლონდით. მხოლოდ ცეცხლ წაკიდებულ მუხას გაჰქონდა ტკაცი-ტკუცი და მის ალისაგან შერხეულ ფოთლებს შრიალი. შორიდან კი ოდნავ აწევდა ჩვენამდე ვიღაც უცხო მწყემსის სიმღერა:

მულალოდან წამოვიდნენ
შვიდ თოფიანი თათარი,
სულ კითხვა-კითხვით მოდიან,
სოლოლას ბინა სად არი.
ჰალის თავს როცა მოვიდნენ,
სიტყვა წარმოსთქვეს ჩაზარი:
თოფში პატრონა ჩააგდეთ,
სოლოლას ბინა აქ არი;
თათრის თოფი რომ გავარდა,
ბინამ დაიწყო ზანზარი,
ესროლა სოლოლამაცა,
შეაღრიალა თათარი.
მეორე დილა გათენდა,
მოჩანჩალებდა ჩაფარი.
—ჩაფარო, აქეთ მობრძანდი,
წუხელის მოვკალ თათარი.
სამი პატრონა აჩუქა,
სამი თუმანი საგზალი:
ყოჩაღ, ვაჟკაცო სოლოლავ,
კიდევაც მოჰკალ თათარი.

შუა ღამე წამოვიდა. ავდექით და წავედით ძროხასთან. ბალახზე კარგად დამძღარიყვნენ ძროხები და ერთად ეყარნენ. ჩვენც მივედით და მათ შორი-ახლო ტყის პირში დავწექით. ყველას დაეძინა. მხოლოდ სიო-ღა არხევდა სიჩუმეს. ხანდახან ჩაძინებული ბულბული უცბად დაიჭახჭახებდა და ისევ ჩაიძინებდა. ზოგიერთხელაც შორს, შორს მგლები ასტეხდნენ ღმუილს და ისევ მიჩუმდებოდნენ. განუწყვეტლივ გამოისმოდა ჰალიდან მხოლოდ ჭოტის ხმა. ბოლოს იმასაც მიეძინა და ისეთი სიჩუმე გამეფდა, რომ მოდარაჯე კაცის ყური გაიგებდა ცისა და ქვეყნის საიდუმლო მოლაპარაკებას.

ცამ გათეთრება დაიწყო. პატარა ვარსკვლავები ჩაქრნენ ცაზე და დიდებმა უფრო მეტის ელვარებით დაიწყეს ბრწყინვა. საქონელი აიშალა. ბიჭებმაც გაიჩურჩულეს—იგრძნეს გათენების მოახლოვება. ერთმა გამოიღვიძა კიდეც და დაუძახა მეორეს: ლადო, ადე ძროხა აიშალაო და ადგნენ ყველანი.

აღმოსავლეთმაც გააპო თავისი ვარდის ფერი ბაგე, აღმოჰხდა გულიდან სიცოცხლის აღმძვრელი შუქი და აჭიკჭიკა თვისი მშვენიერების საქებრად მგალობელნი ფრინველთა სამეფოსი. მხიარულად შეინავარდა კურდღელმა ველზე; ხოხობმა დაიყივლა ივრის პირას ჩალებში. ტოროლამაც მხიარულის სიმღერით გადმოუარა ჰალას თავსა და ნეტარებით გაუხალისა ყველას გული. ჩვენც დაგვავიწყდა წარსული ჭირ-ვარამი, სევდა, მწუხარება და სიმღერით მივეგებენით ახალს განთიადს, ახალი ცხოვრებისთვის, ახალი ტანჯვის და მწუხარებისთვის.

ი. მჭედლიშვილი.

ს. კაკაბეთი.

კავსაძის კონცერტზე.

სადღესასწაულო კონცერტს მოველოდით. საზოგადოებას ჰსურდა მეკონცერტეთა მიერ შექმნილ შაბლონის საზღვრებს იქით მართლა ნამდვილი ხელოვანის მიერ დადგმული კონცერტი ენახა. **სანდრო კავსაძე**,—აი უმთავრესი ამის თავდები! **ი, სარაჯიშვილი**... კომპოზიტორი **ფოცხვერაშვილი**... აი თავდების გამნაღდებელი ძვირფასი ორი თამასუქი, რასაც ხანგრძლივი რეკლამები და გაკრული აფიშები გვპირდებოდა... შეერთებული ხოროები, პროგრამის მრავალფეროვნება,—აი ის თილისმები, რანიც დასტურსა სდებდნენ, რომ კონცერტი არაჩვეულებრივ კარგი და სასიამოვნო იქმნებოდა.

მაგრამ... ჰო და მაგრამ, მოგეხსენებათ, როდესაც მოლოდინი დიდი გაქვთ და ჰხედავთ თქვენი ილუზიის გაქარწყლებას, მაშინ უნებურად არსებულიც ჰკარგავს თვის ღირებულების ელფერს.

არ ვიცი, ვინ რა გუნებით დაბრუნდა იმ დღეს,პირადად ჩემზე ის შემიძლიან ვსთქვა რომ სწორეთ უკმაყოფილოთა კატეგორიას ვეკუთვნი და რომ მარტო სიტყვიერი არ გეგონოთ ჩემი შეხედულობანი, თავს ნებას ვაძლევ ბრალდებანი წარმოვაყენო.

კონცერტის უმთავრეს სისუსტეს თავიდანვე ის შეადგენდა, რომ კონცერტი იგი გენერალური რეპეტიცია იყო, თუ აქ გენერალური ფრჩხილებში არ იქნება ჩასასმელი უელფერობისა გამო. ფარდის ახდისას ესტრადაზე ბ-ნი ფოცხვერაშვილი გადმოდგა. აფიშაში ეს სარეკლამო პირი უეჭველია, სხვა რამეს დაჰპირდებოდა მკითხველს, მაგრამ ქ. ფოცხვერაშვილი სწორედ ისეთ როლში ვნახეთ, რომელიც მის მისსიას ნაკლებად შეეფერებოდა: ვინ არ იცის, რომ იგი რამდენადაც კარგი მუსიკოსია, იმდენად უხეირო მჭევრმეტყველი და რაც გინდა საინტერესო ყოფილიყო მისი სიტყვა ჩვენის მუსიკის შესახებ, უეჭველად ის ღირსეული მთქნარება უნდა გამოეწვია, რასაც დამსწრე საზოგადოების უმრავლესობაში დაინახავდით. მეორე, ეს ლექცია ფოცხვერაშვილისა ჩვენს საზოგადოებას კვლავაც მოუსმენია. შინაარსი ბევრი რამ მწარე სიმართლეს ჰღაღადებს, მაგრამ ლექციის უმთავრესი დეფექტი ის გახლავთ, რომ იგი სამეცნიეროცაა, მხატვრულიც და მგოსნურიც, ერთი სიტყვით, მასში თქვენ ყოველისფერს ჰხედავთ, ყოველისფერს და მასთან არაფერს. ამით იმის თქმა მსურს, რომ იგი **ბევრს** მჭევრობს, გაცილებით მეტს, რაც საგნისთვის ესაჭიროება მას. ლექციის დარგებად დაყოფა და ცალ-ცალკე წარმოთქმა, ან და პოეტურ გრძნობით ნაკარნახევის ამოშლა ლექციას ბევრს მოაგებინებს. მაგრამ ეხლა ლექციის გაკრიტიკებაზე არ მსურს ვილაპარაკო, ეს საგანი იმდენად ფართოა და მტკივნეული, რომ დაბრუნება დამაზე ბაასი არც მე და არც საზოგადოებას არ მოსწყინდება. საქმე ის არის, რომ ფოცხვერაშვილი ორატორად არ გვსურდა გვენახა ესტრადაზე გადმომდგარი, სასურველი იყო ნიჭის შესაფერი ქურქით გამოსულიყო.

გადავიდეთ ეხლა თვით კონცერტზე. უმთავრესი მოხაზულობა კონცერტისა, როგორც ნათქვამი იყო, გახლდათ სარეპეტიციო ელფერი. ყველა ნომრებს ემჩნეოდათ აჩქარება. ამას გარდა, ხმებიც „საგანგებოდ“ არ იყო შერჩეული, როგორც პროგრამებში გვპირდებოდნენ. აი, ამას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ისეთმა მშვენიერმა ნომერმა, როგორიც არის „ზამთარიო“, გული დაგვწყვიტა. ნ. კავსაძის მიერ თავშივე ხრინწიან ხმით ამონაკივლი ყურში რაკი ერთხელ გაწყვეტილ სიმის დისონანსად შეიჭრა, ვერ იქმნა და შთაბეჭდილება ვერ დაუბრუნდა თვის კალაპოტს.

ზოგიერთი ნომრები შეცვლით იმღერეს, შესწორებით, ვიდრე ჩვეულებრივ მოგვისმენია. არას ვამბობთ თვით ს. კავსაძის სიმღერებზე, ავტორი თვითონაა და უფლება აქვს ყოველი ნომერი თავის გემოვნების მიხედვით შესცვალოს და გადააკეთოს, მაგრამ ისეთი საპასუხისმგებლო არია, როგორიც არის სულხანიშვილის პატარა კახიდან „დაიგვიანეს“, მოითხოვდა სტილის სათანადო დაცვას. რამდენადაც ვიცნობ ამ არიას, აქ სოლო უნდა იყოს. შესაძლებელია კავსაძემ ხორო ორკესტრის ადგილს დააყენა, მაგრამ ამ შემთხვევაში უსიტყვო გუგუნი უფრო მოუხდებოდა.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კონცერტი საყურადღებო არ ყოფილიყოს.არა, ამ საღამოს შესახებ ერთი რამ შეიძლება უცილობლად ითქვას, რომ ჩვენში შესაძლებელია დიად კონცერტების მოწყობა. რეპერტუარის სიმდიდრე ამ საღამომ უფრო გვამცნო. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველი ნომერი არ იქმნა სათანადოდ შესრულებული, თქვენ ერთგვარ სიამაყით ივსებით, როდესაც ჰხედავთ ჩვენი ერის გენიის თუნდა ისეთ ნატეხებს, როგორც მაგალითად „იმერული პოპური“,ანუ„ზამთარიო„, „რაშორერა“, „ფაცხა“, „ქართული პოპური“, „ურმული“ „არაგვი“ და მრავალი სხვა. აი, ამ ნომრების გამოქვეყნებისთვის, ამ ძვირფას ნაშთთა გამომზეურებისთვის უნდა ვუმადლოდეთ ბ-ნ კავსაძეს. ჩვენ გვწამს მისი ლოტბარობის ნიჭი, გვწ რომ თუ დრო მიეცა, თვით უსულო საგნებსაც ხმას ამოაღებინებს; გვწამს და ვიმედოვნებთ, რომ ეს კონცერტი არც პირველი იქნება და არც უკანასკნელი, რომ ჩვენ გვაჩვენებს კიდევ მრავალ რამეს, დაფარულს, ჩვენთვის უჩინარს და ხალხის ზღვა გულში მოტივტივე იმ საუცხოვო მელოდიებს, რითაც თავი შეუძლიან შეიქოს არა თუ ჩვენისთანა პატარა ერმა, თვით დაწინაურებულმა ევროპის ყოველმა სახელმწიფომ. აი, ამ იმედით დავსვამ ჯერ-ჯერობით წერტილს, ამ იმედით მსურს განვიქარვო უნებლიე უკმაყოფილება, რაიც ჩვენი ხელოვნების სრულ დაუჯილდოებამ გამოიწვია. მეტი გარჯილობა და ენერგია, მეტი გამჭრიახობა და ერთსულოვნობა და დამერწმუნეთ ჩვენს ხელოვნების ღმერთს იტალიისას ამოვუყენებთ და მარად დადაფნილს დავანახვებთ მთელს მსოფლიოსაც.

დ. კ—ძე.

—

P. S. ვსარგებლობ შემთხვევით და აქვე გულისწყრომას ვუცხადებ კონცერტის მომწყობთ მესამე განყოფილების გამო. მაინცა და მაინც რა ჰსურდათ დაეხატნათ: ასე გაულგარება და გაკარიკატურება ჩვენი სოფლური დღეობისა ყოველისფერს აღემატება. სცენა სცენას არა ჰგავდა, სიმღერები კიდევ ღმერთმა შეინახოს. ასეთი უგემური ჟღივილ-ხივილი არც ერთს სუფრაზე არ მინახავს, არამც თუ კონცერტზე. მოგეხსენებათ, ყოველისფერს საზღვარი აქვს, მით უმეტეს საზღვარი უნდა ჰქონდეს შაბლონს და ულაზათობას ხელოვნებაში, თუ არ გსურს ხელოვნება იგი შეურაცყოფილი იყოს.

დ. კ.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან გადის:

თბილისიდან	8 ს.	13 წ.	დილ.
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	8 „	40 „	„
ნავთლუღ-კახეთ	8 „	58 „	„
ვაზიანიდან	10 „	06 „	„
ივრიდან	11 „	15 „	„
საგარეჯოდან	11 „	58 „	„
ბადიაურიდან	12 „	56 „	„
მელაანიდან	2 ს.	16 წ.	სად.
გურჯაანიდან	3 „	37 „	„
კარდენახიდან	4 „	12 „	„
წნორის-წყალზე	4 „	44 „	„

გურჯაანიდან-თელავამდე № 7.

გურჯაანიდან	3 ს.	42 წ.	სად.
ვაჩნაძიანიდან	4 „	33 „	„
თელავში	5 „	27 „	„

თბილისკენ მოდის:

წნორის-წყლიდან	8 ს.	58 წ.	დილ.
კარდანახიდან	9 „	41 „	„
გურჯაანიდან	10 ,	24 „	„
მელაანიდან	11 „	39 „	„
ბადიაურიდან	12 „	59 „	დღ.
საგარეჯოდან	2 „	80 „	„
ივრიდან	2 „	50 „	„
ვაზიანიდან	3 „	55 „	„
ნავთლუღ-კახეთ	4 „	58 „	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ	5 „	13 „	„
თბილისში	5 „	28 „	„

თელავიდან-გურჯაანამდე № 8.

თელავიდან	8 ს.	54 წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან	9 „	25 „	„
გურჯაანში	10 „	07 „	„

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3	ბაქოდან	12 ს.	54 წ.	დღ.
№ 4	ბათომიდან	5 ს.	55 წ.	სად.
№ 5	ბაქოდან (სწრაფი)	7 ს.	41 წ.	სად.
№ 10	ბათომიდან	9 ს.	51 წ.	დილ.
	ჯულფიდან	6 ს.	53 წ.	დილ.
	ბორჯომიდან	7 ს.	25 წ.	დილ

თბილისიდან გადის:

№ 3	ბათომისკენ	1 ს.	45 წ.	დღ.
№ 4	ბაქოსკენ	7 ს.	3 წ.	სად.
№ 6	ბაქოს (სწრაფი)	12 ს.	8 წ.	დღ.
№ 9	ბათომისკენ	8 ს	53 წ.	სად.
	ჯულფისკენ	10 ს.	23 წ.	სად.
	ბორჯომისკენ	3 ს.	29 წ	დღ.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა.

25—10

წიგნის მაღაზია

„ახალი სიტყვა“

(„НОВАЯ РѢЧЬ“.)

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

(წ.—9)

მეხილეთა ამხანაგობა

„ქართლი“

„ქართლის“ კოოპერატიულ მაღაზიაში (ძველი სემინარიის შენობა) ყოველდღე ჩამოდის ახალი ხილი ამხანაგობის წევრებისაგან. მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ყოველნაირი ხილი იაფად.

წ.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეწველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სამშობლო“

(გამოდის ქუთაისში)

ყოველ კვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“**. ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**

მსწრაფ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან